დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 9 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №157/23
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 10 აგვისტოს №157 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს №512/157-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მოსამართლე აჭიანურებს -- -- სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 18 ოქტომბერს სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს -- --.

საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში სასამართლო სხდომა გაიმართა 2021 წლის 2 ნოემბერს. სასამართლო სხდომა გადაიდო ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომაროების მიზეზით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. მათ მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (Wemhoff v Germany, §18; Kart v. Turkey[GC], §68).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 26 ოქტომბერს, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმეზე დაინიშნა არსებითი განხილვა, ხოლო საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, 2021 წლის 28 ოქტომბერს საქმე განსახილველად გადაეცა -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს -- --. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლის მხრიდან არ იკვეთება 24 თვიანი საპროცესო ვადის დარღვევა. შესაბამისად, დისციპლინურ საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ გახდება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის -- მაისის №-- განკარგულებით, 2024 წლის 19 ივნისიდან -- -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2023 წლის 10 აგვისტოს №157 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი